






ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



ენერგეტიკის სექტორის მ ი მ ო ხ ი ღ ჯ ა



ავტორები:
გივი ადუიშვილი
მარიამ გოგოჭური

2020

ენერგეტიკის სექტორის მიმოხილვა

შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მიმოხილა ენერგეტიკის სექტორის მიმდინარე განვითარება და არსებული გამოწვევები, 2020 წლის მდგომარეობით.

IDFI-იმ 2020 წელს დაიწყო ენერგეტიკის სექტორის პერიოდული მიმოხილვა და მიმდინარე მიმოხილვაში მოცემულია 2020 წლის სრული მდგომარეობა, გენერაციისა და მოხმარების დინამიკა, ელ. ენერგიით ვაჭრობის ტენდენციები, ელექტროენერგიის საცალო და საბითუმო ფასები და სექტორში დაგეგმილი და მიმდინარე სიახლეები. ასევე, გენერაციის, მოხმარების და დეფიციტის მოსალოდნელი პროგნოზები მომდევნო წლებში.

COVID-19 პანდემიის ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ელექტროენერგიაზე გაზრდილი ფასების პირობებში არ დაზარალდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, მაგრამ აუცილებელია სექტორის მონაწილეების ინტერესების გათვალისწინებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია დეფიციტის კიდევ უფრო მეტად ზრდა. აღნიშნული გაზრდის იმპორტზე დამოკიდებულებას, კიდევ უფრო მეტად გააძვირებს ელ. ენერგიის ღირებულებას და შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას.

2021-2025 წლების ელექტროენერგიის ბალანსის პროგნოზები ასახავს ელექტროენერგიის მოხმარების მოსალოდნელ დინამიკას, რომელიც ეკონომიკის ზრდასთან და ტურიზმის დინამიკასთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული. გენერაციის წყაროების ზრდა დეფიციტის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა და გათვალისწინებულია ბოლო წლების შემცირებული ტენდენცია ამ მიმართულებით.

ენერგეტიკის სექტორი ლიბერალიზაციას განიცდის და აუცილებელია დაგეგმილი ცვლილებების დროული იმპლემენტაცია, რომელმაც უნდა გააჯანსაღოს საინვესტიციო გარემო და ხელი შეუწყოს გენერაციის წყაროების ზრდას.

მაღალი მოხმარების პირობებში მნიშვნელოვანია ენერგოეფექტურობაზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილება, რომელიც თანამედროვე ენერგოსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას მოითხოვს. არსებობს არგუმენტები, რომ იმპორტირებული ელ. ენერგიის ფასი ნაკლებია, განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების შედეგად მიღებულ ფასზე. თუმცა, აღნიშნული არ ითვალისწინებს ენერგოსაფრთხოების ღირებულებას ქვეყნისათვის და საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას.

ძირითადი მიგნებები: ენერგეტიკის სექტორი შემცირდა

- **ელ. ენერგიის გენერაცია წ.წ. 5.9%-ით შემცირდა 2020 წლის განმავლობაში.** თბოსადგურების გენერაცია მნიშვნელოვნად არ შეიცვალა (-0.7% წ.წ.), თუმცა განახლებადი ენერგიის წყაროების გენერაცია წ.წ. -7.7%-ით არის შემცირებული ანალოგიურ პერიოდში.
- **COVID-19 პანდემიამ მკვეთრად შეამცირა ელ. ენერგიის მოხმარება, (-10.3% წ.წ.) 2020 წელს.** რაც შემცირებული ეკონომიკური აქტივობით, მსხვილი კრიპტომწარმოებლების მოხმარების შემცირებით და თითქმის განულებული ტურიზმით შეიძლება აიხსნას. შემცირებამ -5.7% შეადგინა აფხაზეთის გაზრდილი ელ. ენერგიის მოხმარების გათვალისწინებით.
- **აფხაზეთის მზარდმა ენერგომოხმარებამ ენგურჰესის გენერაციის 93% შეადგინა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარება 3.3-ჯერ აჭარბებს მოხმარებას დანარჩენ საქართველოში.** 2020 წელს წ.წ. +24%-ით გაიზარდა და რეკორდულად მაღალი იყო აფხაზეთის ელ. ენერგიის მოხმარება (2.5 ტკტ. სთ.). აღნიშნული, გარკვეულწილად გამოწვეულია ენგურჰესის გენერაციის შემცირებით 2020 წელს.
- **მაღალი ელ. ენერგიის დეფიციტის დასაბალანსებლად 59 მლნ. აშშ დოლარის წმინდა იმპორტი დაგვჭირდა 2020 წელს.** შეინიშნება გაუმჯობესება, (-11 მლნ. აშშ დოლარი) 2019 წელთან შედარებით, ძირითადად ელ. ენერგიის საიმპორტო ფასის შემცირების ხარჯზე, რომელმაც საშუალოდ 4 აშშ დოლარის ცენტი შეადგინა 2020 წელს (-17% წ.წ.). რუსეთიდან ელ. ენერგიის იმპორტმა ბოლო ოთხი წლის მაქსიმუმს მიაღწია და მთლიანი იმპორტის 38% შეადგინა. აღნიშნულს ხელს უწყობს აფხაზეთის ზრდადი ელ. ენერგიის მოხმარება.
- **ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო და კომერციული აბონენტებისათვის ფასები გაიზარდა.** ზრდა ყველაზე მაღალია (+24%) 102 კვტ. სთ-ზე დაბალი მოხმარების საყოფაცხოვრებო აბონენტებისათვის და ასევე იმ კომერციული მომხმარებლებისათვის, რომლებიც რეგიონში არიან წარმოდგენილი (+90%).
- **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერგეტიკის სექტორში წ.წ. ოთხჯერ შემცირდა და 46 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა 2020 წლის 9 თვის განმავლობაში.** COVID-19 პანდემია ძირითად დაბრკოლებად მოიაზრება, თუმცა ლარის გაცლითი კურსის გაუფასურების ფონზე დღეისათვის ფაქტიურად არ არსებობს განახლებადი ენერგიის წამახალისებელი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას და შეამცირებდა იმპორტზე დამოკიდებულებას.
- **საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ოპერირების დაწყება წინ გადადგმული ნაბიჯია ბაზრის ლიბერალიზაციისაკენ.** ბირჟის ფუნქციონირებამ ხელი უნდა შეუწყოს სექტორში საბაზრო ფასების ფორმირებას, რაც დადებითად აისახება საინვესტიციო გარემოზე და სწორ სიგნალებს გადასცემს ბაზრის მონაწილეებს.

- ელექტროენერგიის მოხმარება მოსალოდნელია 12.6 ტვტ. სთ-მდე გაიზარდოს მიმდინარე წელს, რაც 2019 წლის დონეზე (12.8 ტვტ. სთ.) ნაკლებია. ჯამურმა გენერაციამ მოსალოდნელია 11.5 ტვტ. სთ. შეადგინოს (ენგურზე მიმდინარე სამუშაოების გათვალისწინებით) აღნიშნულ პერიოდში და დეფიციტი 1.6 ტვტ. სთ. მიაღწევს, რაც შესაძლოა დაკომპენსირდეს იმპორტის ან თბოსადგურების გენერაციის ზრდის ხარჯზე.

გენერაცია: განახლებადი ენერგიის წილი 75%-მდე შემცირდა

ელ. ენერგიის ჯამური გენერაცია წ.წ. 5.9%-ით შემცირდა 2020 წლის განმავლობაში. გენერაცია წლის დასაწყისიდან მცირდებოდა და შემცირების პიკს ივნისის თვეში მიაღწია (-17% წ.წ). მომდევნო თვეებში დაიწყო აღდგენა და სექტ-ოქტ თვეში +6.6%-ით და +6.3%-ით გაიზარდა წლიურად, თუმცა -5.0%-ით და -8,2%-მდე შემცირდა ნოემბერში და დეკემბრის თვეში, შესაბამისად.


გენერაციის კლებასთან ერთად საქართველოში განახლებადი ენერგიის წილი მცირდება. თბოსადგურების გენერაცია ჯამურად -0.7%-ით არის შემცირებული გასულ წელთან შედარებით და 2.8 ტვტ.სთ. შეადგინა 2020 წელს, თუმცა განახლებადი წყაროების გენერაცია უფრო მეტად (-8%) არის შემცირებული ანალოგიურ პერიოდში, რაც ძირითადად ცუდი წყალმოდიწების, დაბალი მოთხოვნის და ექსპორტის შესაძლებლობის შემცირებამ განაპირობა. საერთო ჯამში, განახლებადი ენერგიის წილი 75%-მდე შემცირდა (-1 პ.პ.) 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით.

ჯამურად მარეგულირებელი ჰესების გენერაციამ 4,1 ტვტ. სთ. შეადგინა 2020 წელს და ყველაზე მეტად შემცირდა (-18%), წინა წელთან შედარებით. ყველაზე დიდი მარეგულირებელი ჰესის ენგურის წილი ჯამურ გენერაციაში მცირდება და 25% შეადგინა 2020 წელს, რაც 4%-ით და 9%-ით ნაკლებია 2019 და 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

სეზონური, წყალმოდიწებაზე დამოკიდებული ჰესების გენერაცია მკვეთრ ზრდას აჩვენებს, შუახევი ჰესის ხარჯზე. აღნიშნული ჰესების ჯამურმა გენერაციამ 3.5 ტვტ. სთ. შეადგინა 2020 წელს, რაც +7%-ით მეტია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად. აღნიშნული ძირითადად შუახევის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებიდან გამომდინარეობს.


მცირე ზომის ჰესების რაოდენობა გაზრდილია, თუმცა გენერაცია იკლებს. ოთხ ახალ სიმძლავრის ჰესთან ერთად 71 მცირე ზომის ჰესის ჯამურმა გენერაციამ 0.65 ტვტ. სთ. შეადგინა 2020 წელს, რაც 3.6%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე, მაგრამ მოსალოდნელია გაიზარდოს მომავალ წელს, ახალი ჰესების ხარჯზე და მიმდინარე პერიოდში ამუშავებული ჰესების სრული დატვირთვით ამუშავების შემთხვევაში.

გრაფიკი 1: ელ. ენერგიის გენერაცია (ტვტ. სთ.) გენერაციის წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო, IDFI

გრაფიკი 2: ელ. ენერგიის გენერაციის %-ული ცვლილება წ.წ. (კუმულატიური, თვეების მიხედვით) 2020 წელს



მოხმარება: COVID-19 პანდემიამ მკვეთრად შეამცირა ელ. ენერგიის მოხმარება

ელ. ენერგიის მოხმარება წ.წ. -10.3%¹-ით შემცირდა 2020 წელს. ინდუსტრიული მწარმოებლების ელ. ენერგიის მოხმარება მკვეთრად შემცირდა და 2.4 ტვტ. სთ. შეადგინა (-25% წ.წ.) ანალოგიურ პერიოდში. მოსახლეობის და ბიზნესის მოხმარება უფრო ნაკლებად შემცირდა და 7,1 ტვტ. სთ. შეადგინა (-4.1% წ.წ.). დაბალი მოხმარება ძირითადად განაპირობა შემცირებულმა ეკონომიკურმა აქტივობამ, კრიპტონდუსტრიის მკვეთრმა ვარდნამ და თითქმის განულებულმა ტურიზმმა.


რეკორდულად მაღალი იყო აფხაზეთის ელ. ენერგიის მოხმარება და 2.5 ტვტ. სთ. შეადგინა (+23.9% წ.წ.) 2020 წელს. აღნიშნული ენგურის მთლიანი გენერაციის 93%-ს შეადგენდა ანალოგიურ პერიოდში.

აფხაზეთში ელ. ენერგიის ერთ სულზე მოხმარება 3.3-ჯერ აჭარბებს მოხმარებას დანარჩენ საქართველოში. აფხაზეთი წლის განმავლობაში 8,508² კვტ. სთ. ელ. ენერგიას მოიხმარს ერთ სულ მოსახლეზე 2020 წლის განმავლობაში. დანარჩენ საქართველოში ელ. ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 2,574 კვტ. სთ. შეადგენდა. აფხაზეთის მაღალი მოხმარება ძირითადად „უფასო“ ელ. ენერგიით და კრიპტომინინგით შეიძლება აიხსნას.


¹ -5.7% აფხაზეთის ელ. ენერგიის მოხმარების გათვალისწინებით.

² აფხაზეთის მოსახლეობა აღებულია 300,000

გრაფიკი 3: ელ. ენერგიის მოხმარების ზრდა (% წ.წ.) 2020 წელს



გრაფიკი 4: ელ. ენერგიის მოხმარება 2020




წყარო: ესკო, IDFI

ექსპორტ-იმპორტი: ელ. ენერგიის დეფიციტი ზრდადა


ელ. ენერგიის დეფიციტი +5.3% წ.წ. და 1.46 ტვტ. სთ შეადგინა 2020 წელს. იმპორტის მოცულობა თითქმის არ შეიცვალა (-1% წ.წ.) და 1.61 ტვტ. სთ. შეადგინა, მაგრამ ექსპორტი მკვეთრად შემცირდა 0.15 ტვტ. სთ-მდე (-37% წ.წ.) 2020 წელს.

რუსეთიდან ელ. ენერგიის იმპორტმა ბოლო ოთხი წლის მაქსიმუმს მიაღწია (35%) 2020 წელს. აღნიშნულს ხელს უწყობს აფხაზეთის ზრდადი ელ. ენერგიის მოხმარება. ხოლო თურქეთი ნომერ პირველ საექსპორტო ბაზრად რჩება (41%), თუმცა მკვეთრად შემცირებული ექსპორტის მოცულობის ფონზე.

გრაფიკი 5: ელ. ენერგიის იმპორტი (ტვტ. სთ.)



გრაფიკი 6: ელ. ენერგიის ექსპორტი (ტვტ. სთ.)




წყარო: ესკო, IDFI

ელ. ენერგიის დეფიციტის დასაბალანსებლად 59 მლნ. აშშ დოლარის წმინდა იმპორტი დაგეგმირდა 2020 წელს. იმპორტის და ექსპორტის ღირებულებამ 65 მლნ. აშშ დოლარი


და 6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, შესაბამისად ანალოგიურ პერიოდში. შეინიშნება გაუმჯობესება, (-11 მლნ. აშშ დოლარი) 2019 წელთან შედარებით.

ერთი კვტ. სთ. ელექტროენერგიის იმპორტის ფასი -17%-ით შემცირდა და საშუალოდ 4 აშშ დოლარის ცენტი იყო 2020 წელს. ხოლო საექსპორტო ფასი გაიზარდა +18%-ით და 3.8 აშშ დოლარის ცენტს გაუტოლდა ანალოგიურ პერიოდში. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ექსპორტის მცირე მოცულობა.

გრაფიკი 7: ელ. ენერგიის ექსპორტის და იმპორტის მოცულობა და დეფიციტი (მლნ. \$)



გრაფიკი 8: ელ. ენერგიის ექსპორტის და იმპორტის ფასი (აშშ დოლარის ცენტი / კვტ. სთ.)




წყარო: საქსტატი, ესკო, IDF

შენიშვნა: *დეფიციტის ღირებულება ასახავს ელექტროენერგიის ვაჭრობის შედეგად ქვეყნიდან გასულ უცხოური ვალუტის მოცულობას

ელ. ენერგიის ფასები: საბითუმო ფასები საშუალოდ 25%-ით გაიზარდა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერგეტიკის სექტორში ოთხჯერ შემცირდა 2020 წლის 9 თვის განმავლობაში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 46 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. COVID-19 პანდემია ძირითად დაბრკოლებად მოიაზრება, თუმცა ლარის გაცლითი კურსის გაუფასურების ფონზე დღეისათვის ფაქტიურად არ არსებობს განახლებადი ენერგიის წამახალისებელი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას და შეამცირებდა იმპორტზე დამოკიდებულებას.

გრაფიკი 9: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერგეტიკაში (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი, IDFI

აპრ-აგვ პერიოდში საბითუმო ფასების საშუალო ზრდამ წ.წ. 41% შეადგინა 2020 წელს. საბითუმო ფასები ბოლო ხუთი წლის მაქსიმალურ მაჩვენებლებზეა და ზრდა აღნიშნულ პერიოდში ძირითადად ორნიშნა მაჩვენებელზეა.

შედარებით იაფიანი ელ. ენერგიის წყაროების გენერაციის შემცირება ზრდის საბითუმო ფასებს ელ. ენერგიაზე. ელ. ენერგიის საბითუმო ფასები საშუალოდ 25%-ით გაიზარდა 2020 წელს, რაც ნაწილობრივ გაცვლითი კურსის გაუფასურებით და ენგურის გენერაციის შემცირებით არის განპირობებული.

გრაფიკი 9: ესკოს საბალანსო ფასი თვეების მიხედვით (თეთრი / კვტ. სთ.)




წყარო: ესკო, IDFI


ელ. ენერგიის სამომხმარებლო და კომერციული ტარიფები მკვეთრად იზრდება 2021 წელს, ძირითადად გაუფასურებული გაცვლითი კურსის და სექტორის იმპორტზე დამოკიდებულების შედეგად. ასევე, მკვეთრი ზრდა გარკვეულწილად გამოწვეული წინა

პერიოდებში ტარიფის შენარჩუნების შედეგად. ზრდა ყველაზე მაღალია (+24%) 102 კვტ. სთ-ზე დაბალი მოხმარების საყოფაცხოვრებო აბონენტებისათვის და ასევე იმ კომერციული მომხმარებლებისათვის, რომლებიც რეგიონში არიან წარმოდგენილი (+90%).

გრაფიკი 7: ელ. ენერგიის სამომხმარებლო ტარიფი* (თეთრი კვტ.სთ.)



გრაფიკი 8: ელ. ენერგიის კომერციული ტარიფი* (თეთრი კვტ.სთ.)




წყარო: საქსტატი, ესკო, IDF

შენიშვნა: *დღგ-ს ჩათვლით

სექტორის მოსალოდნელი განვითარება: დეფიციტი გაიზრდება

ელ. ენერგიის მოხმარება ეკონომიკურ ზრდაზეა დამოკიდებული. კორელაცია ეკონომიკურ ზრდასა და ელ. ენერგიის მოხმარების ზრდას შორის (აფხაზეთის გამოკლებით) 80%-ს აღწევს. 2020 წელს ელ. ენერგიის მოხმარება 10.3%-ით შემცირდა და რეალური მშპ -6.1%-ით აღნიშნულ პერიოდში.

გრაფიკი 10: ელ. ენერგიის მოხმარება (ტვტ. სთ.), მოხმარების და რეალური მშპ-ს ზრდა (%)




წყარო: ესკო, IDFI

შენიშვნა: * მოხმარების ზრდა აფხაზეთის გამოკლებით

ელ. ენერგიის მოხმარება მოსალოდნელია 2022 წლამდე ვერ დაუბრუნდეს 2019 წლის დონეს. 2021-2025 წლებში მოხმარება მოსალოდნელია საშუალოდ 5.1%-ით გაიზარდოს, გენერაციის 4.8%-ით ზრდის ფონზე და 2019 წლის დაბალი გენერაციის გათვალისწინებით. ელ. ენერგიის დეფიციტი 7.5%-ით გაიზრდება აღნიშნულ პერიოდში და 1.9 ტვტ. სთ. მიაღწევს 2025 წელს.

ენგურის მოსალოდნელი შეჩერება დამატებით 0.6 ტვტ.სთ.-მდე ელ. ენერგიის დეფიციტს შექმნის 2021 წელს. ენგურჰესის გამომუშავების გათვალისწინებით 4 თვიან პერიოდში (თებ-მაისი) დანაკლისი 0.6 ტვტ. სთ. იქნება, რაც ნაწილობრივ დაკომპენსირდება არსებული ჰესების 2019 წლის გამომუშავების დონემდე ზრდით და შუახევის ჰიდროსადგურით. ჯამურმა გენერაციამ მოსალოდნელია 11.5 ტვტ. სთ. შეადგინოს აღნიშნულ პერიოდში და დეფიციტი 1.6 ტვტ. სთ. მიაღწევს, რაც შესაძლოა დაკომპენსირდეს იმპორტის ან თბოსადგურების გენერაციის ზრდის ხარჯზე.

გრაფიკი 11: ელ. ენერგიის ბალანსი (ტვტ. სთ.)



წყარო: IDFI

სექტორში მნიშვნელოვანი საიახლეა, რომ საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ³ (სენბი) 2020 წლის ივლისში დაიწყო სატესტო რეჟიმში მუშაობა და კანონმდებლობის მიხედვით მიმდინარე წლის 1 ივლისიდან უნდა დაიწყოს დღით ადრე ბაზრის ოპერირება. დღით ადრე ბაზრის მონაწილეებს საშუალება ექნებათ ყოველდღიურ რეჟიმში იყიდონ და გაყიდონ ელექტროენერგია ბირჟაზე. ენერგეტიკული ბირჟის ფუნქციონირებამ ხელი უნდა შეუწყოს სექტორში საბაზრო ფასების ფორმირებას, რაც დადებითად აისახება საინვესტიციო გარემოზე და სწორ გზავნილებს გადასცემს ბაზრის მონაწილეებს.

³ დაფუძნდა 2019 წლის დეკემბერში, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის 50%-50%-იანი თანამონაწილეობით.

რეკომენდაციები

- მთავრობის მიერ ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმები არ შემუშავდა 2020 წელს და აღნიშნულმა შეაფერხა როგორც ახალი გენერაციის წყაროების დამატება, ასევე შემცირებულმა ინვესტიციებმა შეაფერხა ეკონომიკური ზრდა.

გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების შემდეგ, დღეისათვის პრაქტიკულად არ არსებობს მექანიზმი, რომელიც წაახალისებს ინვესტიციებს სექტორში. მნიშვნელოვანია Feed-in tariff და სხვა ტიპის ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა, რომელიც ინვესტორებს შესთავაზებს გარანტირებულ ფასს და დაიცავს გაცვლითი კურსის რისკებისგან.

- ენერგეტიკული ბირჟის ფუნქციონირება თავისუფალი ბაზრის მექანიზმების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდას

ენერგოდამოუკიდებლობა მცირდება მეზობელი ქვეყნებიდან ელ. ენერგიის იმპორტის ზრდის გათვალისწინებით. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ბაზრის დერეგულაცია და ელ. ენერგიაზე სამომხმარებლო ფასის ზრდის შემთხვევაში საჭიროა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პირდაპირი ფორმით სუბსიდირება.

- საჭიროა განახლებადი ენერგიის წახალისება საოჯახო მეურნეობებში და მცირე ბიზნესში დღგ-სგან განთავისუფლებით ან ენერგოეფექტური სესხებით.

ნეტო აღრიცხვის მექანიზმი საშუალებას აძლევს მცირე მომხმარებლებს აწარმოონ ელექტროენერგია. თუმცა, მიკროელექტროსადგურების მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია აღნიშნული სადგურების ხელშეწყობა საგადასახადო შეღავათებით და ენერგოეფექტური სესხით.

- უნდა შემუშავდეს სექტორის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც ენერგოეფექტურობის ზრდაზე და განახლებადი ენერგიის ხელშეწყობაზე იქნება ორიენტირებული.

ამ დროისათვის არ არსებობს გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებს და წარმოადგენს სექტორის განვითარების შესაძლო სცენარებს.



შვედეთი
Sverige

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.